

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №3

ქ.საგარეჯო

12 მარტი 2012წ.

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბეციტაშვილი;
2. საკონკურსო კომისიის წევრი თინათინ ძაბილაშვილი;
3. საკონკურსო კომისიის წევრი ნინო ქურბული;
4. საკონკურსო კომისიის წევრი თამარ ტაბატაძე;
5. საკონკურსო კომისიის წევრი ნიკოლოზ ბუზარიაშვილი.
6. საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ირმა ტიგინაშვილი;
არ ესწრებოდა საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ნათია გილაშვილი შვებულებაში ყოფნის გამო.

დღის წესრიგი: კონკურსის მეშვეობით – ქ. საგარეჯოში დავით აღმაშენებლის (№3-დან №58-ის ჩათვლით) ქუჩის რეაბილიტაციისთვის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა –მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ.(საკონკურსო განცხადების №344).

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა თინათინ ძაბილაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი (საკონკურსო წინადადება) წარმოადგინა შ.პ.ს. „ინჟინერმა“.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი, შ.პ.ს. „ინჟინერმა“ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა დღგ-ს ჩათვლით.

შ.პ.ს. „ინჟინერის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვს:

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბეციტაშვილმა.

კომისიის წევრმა ნინო ქურბულმა;

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.

შ.პ.ს. „ინჟინერმა“ მიიღო 49,6 ქულა.

აზრი გამოთქვს:

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბეციტაშვილმა.







კომისიის წევრმა ნიკოლოზ ბუზარიაშვილმა;

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქ. საგარეჯოში დავით აღმაშენებლის (№3-დან №58-ის ჩათვლით) ქუჩის რეაბილიტაციისთვის საუკეთესო არქიტექტურული

კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა – მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „ინჟინერი“.

2. საკონკურსო კომისიამ 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.
3. „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება უზრუნველყონ არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა დავით ხატიაშვილმა და შესყიდვების განყოფილების უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარე :		გიორგი ბეპიტაშვილი
კომისიის წევრი;		თინათინ ძაბილაშვილი;
კომისიის წევრი;		ნინო კურბული;
კომისიის წევრი;		თამარ ტაბატაძე;
კომისიის წევრი;		ნიკოლოზ ბუზარიაშვილი
კომისიის აპარატის წევრი;		ირმა ტიგინაშვილი